

**ქალაქ თბილისის საკრებულო
გადაწყვეტილება N 1-1
2006 წლის 12 ოქტომბერი**

ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ

“საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად

ქ.თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქ.თბილისის მერიის დებულება თანახმად დანართისა;
2. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზ.ბეგაშვილი

საკრებულოს მდივანი

თ.ქურბული

ქ. თბილისის მერიის დებულება

ქ. თბილისის მერიის დებულება

საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულება "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მერიის (თბილისის მთავრობის, მისი რაიონების გამგეობების,) უფლებამოსილებებს, სტრუქტურასა და საქმიანობის წესს.
(29.12.2006 N 4-22)

კარი I. ზოგადი დებულებანი

**თავი I. დედაქალაქის სტატუსი და ქალაქ თბილისის
მართვის პრინციპები**

მუხლი 1. დედაქალაქის სტატუსი

დედაქალაქის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონით, საქართველოს კანონით "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ", ამ დებულებითა და მათგან გამომდინარე, ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. ქალაქ თბილისის მერია (29.12.2006 N 4-22)

ქალაქ თბილისის მერია (თბილისის მთავრობა, მისი რაიონების გამგეობები,) წარმოადგენს თვითმმართველობის ორგანოთა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას.

მუხლი 3. ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურა (1.12.2006 N3-20)

ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სახით:

- ა) მერიის ადმინისტრაცია (შემდგომში - ადმინისტრაცია);
- ბ) ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური;
- გ) საფინანსო საქალაქო სამსახური;
- დ) სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური;
- ე) ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური;
- ვ) ტრანსპორტის საქალაქო სამსახური;
- ზ) ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური;
- თ) კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია – საქალაქო სამსახური;

(22.01.2007 N1-1)

- ი) მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური;
- კ) ზედამხედველობის საქალაქო სამსახური;
- ლ) სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური – თბილისის კორპუსი;
- მ) კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური;
- ნ) საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახური;
- ო) დასუფთავების საქალაქო სამსახური.

მუხლი 4. დედაქალაქის მმართველობის სისტემა (29.12.2006 N 4-22)

1. დედაქალაქის თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემა - ქალაქ თბილისის მერია მოიცავს: ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურულ დანაყოფებს, ქალაქ თბილისის ცენტრალურ ორგანოს – ქალაქ თბილისის მთავრობასა და ქალაქ თბილისის რაიონების გამგეობებს. (22.01.2007 N1-1)

2. ქალაქ თბილისის მთავრობის, რაიონების გამგეობების, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით “საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ”, ამ დებულებით და ქალაქ თბილისის მერის, საკრებულოსა და ქალაქ თბილისის მთავრობის სამართლებრივი აქტებით.

3. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოები “საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ” საქართველოს კანონითა და ამ დებულებით განსაზღვრულ კომპეტენციებს ახორციელებენ უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის შესაბამისად;

თავი III. ქალაქ თბილისის ტერიტორია, მოსახლეობა და ქალაქ თბილისის სიმბოლოები

მუხლი 5. ქალაქ თბილისის ტერიტორია (29.12.2006 N 4-22)

1. ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული საზღვრები, მათი დადგენისა და შეცვლის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. ქალაქ თბილისის ტერიტორია იყოფა ქალაქის რაიონებად.
3. ქალაქ თბილისის რაიონებია: გლდან-ნამალადევის, დიდუბე-ჩუღურეთის, დიდგორის, ვაკე-საბურთალოს, ისანი-სამგორის და ძველი თბილისის რაიონი.
4. ქალაქ თბილისის შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის საზღვრებს ადგენს და ცვლის, ქალაქ თბილისის რაიონებში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებს ქმნის და აუქმებს, მათ სახელწოდებებს ანიჭებს ქალაქ თბილისის საკრებულო მერის წარდგინებით.

მუხლი 6. ქალაქ თბილისის მოსახლეობა

1. "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად დედაქალაქის მოსახლეობას შეადგენენ საქართველოს მოქალაქეები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცხოვრობენ დედაქალაქში.
2. ქალაქ თბილისის მოსახლეობის უფლებამოსილება და ურთიერთობა ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოებთან განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 7. ქალაქ თბილისის სიმბოლოები

1. ქალაქ თბილისის აქვს საკუთარი გერბი, დროშა, ჰიმნი და სხვა სიმბოლოები, რომელთაც თბილისის მერის წარდგინებით ადგენს ქალაქ თბილისის საკრებულო.
2. ქალაქ თბილისის სიმბოლოების გამოყენების ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით წესს ადგენს ქალაქ თბილისის საკრებულო.
3. ქალაქ თბილისის სიმბოლოები გამოიყენება საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოთა გამოყენების წესის დაცვით.
4. ქალაქ თბილისის სიმბოლოები ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კარი II. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები და თანამდებობის პირები

თავი I. ქალაქ თბილისის მერი

მუხლი 8. ქალაქ თბილისის მერი

1. ქალაქ თბილისის მერი არის ქალაქ თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და ქალაქ თბილისის მთავრობის ხელმძღვანელი რომელსაც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ქალაქ თბილისის საკრებულო საკუთარი უფლებამოსილების ვადით. მერის არჩევის წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.
2. მერის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრი 25 წლის ასაკიდან.

მუხლი 9. ქალაქ თბილისის მერის უფლებამოსილებანი

1. ქალაქ თბილისის მერი:

ა) წარმართავს ქალაქ თბილისის მერიის საქმიანობას;

ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქის მთავრობის წევრებს, მერიის ადმინისტრაციის უფროსს, რაიონის გამგებლებს და საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებს; (29.12.2006 N 4-22)

გ) უფლებამოსილია ერთი კვირის ვადაში, შესაბამისი შენიშვნებით დააბრუნოს საკითხი საკრებულოში ხელახლა განსახილველად. საკრებულო ვალდებულია ორი კვირის ვადაში უყაროს კენჭი მერის შენიშვნებს. თუ შენიშვნები არ იქნება მიღებული, კენჭი ეყრება საკრებულოს მიერ მერისათვის წარდგენილ თავდაპირველ ვარიანტს. საკრებულოს ნორმატიული აქტები მიღებულად ითვლება და ქვეყნდება საკრებულოს თავმჯდომარის ხელმოწერით, თუ თავდაპირველ ვარიანტს მხარი დაუჭირა საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;

დ) უფლებამოსილია საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის"ი" ქვეპუნქტით და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს საკრებულოს საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნის წინადადებით;

ე) უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს გამგებლის აქტები;

ვ) საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით თანხმობას აძლევს სამთავრობო დაწესებულებების შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების დანიშვნა-განთავისუფლებაზე;

ზ) ხელს აწერს მთავრობის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს; წარმოადგენს ქალაქ თბილისს და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს; თ) უფლებამოსილია

ი) ანიჭებს ქალაქ თბილისის საპატიო წოდებებსა და ჯილდოებს;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს

ლ) კოორდინაციას უწევს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას და მათ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას;

მ) წყვეტს საქალაქო მნიშვნელობის განათლების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სპორტის საკითხებს, ამტკიცებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის გასატარებელ ღონისძიებებს;

ნ) ამტკიცებს საქალაქო სამსახურების დებულებებს;

ო) უძღვება მთავრობის საქმიანობას, ანაწილებს ფუნქციებს თავის მოადგილეებს შორის; თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომებს; მთავრობის საქმიანობიდან გამომდინარე, შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს ქალაქ თბილისის საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებს;

პ) საკრებულოს წარუდგენს დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტს და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

ჟ) ხელს აწერს მთავრობის დადგენილებებს;

რ) საკრებულოს წარუდგენს დედაქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებს.

ს) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების პროექტს;

ტ) პერიოდულად ისმენს რაიონების გამგებლების, მთავრობის წევრებისა და საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელთა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ; (29.12.2006 N 4-22)

უ) უფლებამოსილია მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად შექმნას კომისიები, საბჭოები და სხვა საკონსულტაციო ორგანოები; დაამტკიცოს მათი სამოქმედო დებულებები;

ფ) უფლებამოსილია მიმართოს ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის წინადადებებით; საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად შეიტანოს დამატებითი საკითხი; დაესწროს საკრებულოს და საკრებულოს კომისიების დახურულ თუ ღია სხდომებს; ჰყავდეს მუდმივი წარმომადგენელი საკრებულოში;

ქ) ახორციელებს “საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

2. მერი ვალდებულია საკრებულოს წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

3. მერი საკუთარ უფლებამოსილებას იხსნის და პასუხისმგებელია ქალაქის მოსახლეობისა და საკრებულოს წინაშე. მერი ვალდებულია ყოველწლიურად წარდგეს ანგარიშით საკრებულოს წინაშე. ქალაქის საკრებულოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით მერი ვალდებულია წარდგეს რიგგარეშე ანგარიშით.

მუხლი 10. მერის მოადგილეები

1. მერს ჰყავს პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) და მოადგილეები რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს მერი.

2. მერის მოადგილეები ფუნქციონირებენ განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობენ აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს; ამზადებენ და მერს წარუდგენენ წინადადებებს გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ; ორგანიზებას უწევენ და აკონტროლებენ საკრებულოს, მერისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულებას.

3. მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) და მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მერი.

4. მერის გადაწყვეტილებით ვიცე მერი ან მერის ერთ-ერთი მოადგილე იმავდროულად არის მერიის ადმინისტრაციის უფროსი.

მუხლი 11. მერის მოადგილეთა უფლებამოსილებანი

1. მერის მოადგილეები:

ა) თანამდებობრივად შედიან ქალაქ თბილისის მთავრობაში;

ბ) კოორდინაციას უწევენ მერიის ადმინისტრაციისა და შესაბამისი საქალაქო სამსახურების საქმიანობას;

გ) კოორდინაციას უწევენ გამგეობების შესაბამისი დარგობრივი სამსახურების საქმიანობას;

დ) შესაბამისი დარგების მიხედვით ორგანიზებას უწევენ და აკონტროლებენ ქალაქ თბილისის მერის, საკრებულოს და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას;

ე) ამზადებენ და მერს წარუდგენენ დასკვნებსა და რეკომენდაციებს დაქვემდებარებული დარგების მიხედვით;

ვ) ასრულებენ მერის ცალკეულ დავალებებს;

ზ) ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი არიან ქალაქ თბილისის მერის წინაშე.

2. მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ასრულებს მერის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში. (22.01.2007 N1-1)

თავი II. ქალაქ თბილისის მთავრობა, მისი სტრუქტურა, ფორმირების წესი და კომპეტენცია

მუხლი 12. ქალაქ თბილისის მთავრობა

1. ქალაქ თბილისის მთავრობა (შემდგომში – მთავრობა) არის კოლექტიური ორგანო, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრულ კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საკრებულოსა და მერის გადაწყვეტილებების აღსრულებას, დედაქალაქის ბიუჯეტისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებასა და შესრულებას.

2. მთავრობა შედგება: მერის, მერის მოადგილეებისა და ქალაქ თბილისის საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებისაგან. თბილისის რაიონების გამგებლები თანამდებობრივად შედიან მთავრობის შემადგენლობაში. (29.12.2006 N 4-22)

3. მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება “საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონით და ქალაქ თბილისის მერიის დებულებით, რომელსაც მერის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

4. ქალაქ თბილისის მერიის სისტემაში შემავალი კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელები ქალაქ თბილისის მთავრობის შემადგენლობაში არ შედიან.

მუხლი 12¹. ქ. თბილისის მთავრობის სტრუქტურა (29.12.2006 N 4-22)

ქ. თბილისის მთავრობა შედგება შემდეგი თანამდებობის პირებისაგან:

1. ქ. თბილისის მერი _ მთავრობის ხელმძღვანელი;
2. ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი);
3. ქ. თბილისის მერის მოადგილეები;
4. ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგებელი;
5. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი;

6. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელი;
7. ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგებელი
8. ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელი;
9. ძველი თბილისის რაიონის გამგებელი;
10. სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი;
11. ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსი;
12. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი;
13. ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
14. მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი;
15. ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
16. საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
17. სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური – თბილისის კორპუსის უფროსი;
18. კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი;
19. საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის უფროსი;
20. დასუფთავების საქალაქო სამსახურის უფროსი.

მუხლი 13. ქალაქ თბილისის მთავრობის წევრის გადადგომა

1. ქალაქ თბილისის მთავრობის წევრს აქვს გადადგომის უფლება. თავის უფლებამოსილებას იგი იხსნის მერის წინაშე.
2. მერი უფლებამოსილია მთავრობის გადამდგარ წევრს დააკისროს უფლებამოსილების განხორციელება მთავრობის ახალი წევრის დანიშვნამდე.

მუხლი 14. ქალაქ თბილისის მთავრობის უფლებამოსილებანი

მთავრობის უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

- ა) საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება;
- ბ) ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და განხილვა, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულება; საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადებების მომზადება, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენა და მისი საჯაროობის უზრუნველყოფა;
- გ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების, მათი ოდენობების განსაზღვრისა და გაუქმების, ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღების ორგანიზების შესახებ წინადადებების მომზადება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოსათვის წარსადგენად;
- დ) საკრებულოს მიერ დადგენილი წესით ადგილობრივი საკუთრების ფლობა, განკარგვა და მისით სარგებლობა;
- ე) საქალაქო სამსახურების შექმნა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, აგრეთვე მათ დაფუძნებაში მონაწილეობა და მათში გაწევრიანება; სამეწარმეო იურიდიული პირის წილის (აქციების) შექმნა; ამხანაგობაში მონაწილეობა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მთავრობის მონაწილეობით შექმნილი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელთა დანიშვნა-გათავისუფლება და მათი საქმიანობის კონტროლი;

ზ) კომუნალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა და განვითარება;

თ) დედაქალაქის შიდა სარგებლობის გზების შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის ორგანიზება; მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება; საქალაქო არქივის შექმნა;

ი) “საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ” საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელება.

თავი III. ადმინისტრაცია

მუხლი 15. ადმინისტრაციის კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის წესი

1. ქალაქ თბილისის მერიის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მერიის ადმინისტრაცია.

2. ადმინისტრაციის საქმიანობას უძღვება ვიცე-მერი ან მერის ერთ-ერთი მოადგილე - ადმინისტრაციის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მერი. ვიცე-მერის, მერის ერთ-ერთი მოადგილის - ადმინისტრაციის უფროსის უფლებამოსილება განისაზღვრება ამ დებულებით, ადმინისტრაციის დებულებითა და ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტით. (22.01.2007 N1-1)

3. ადმინისტრაციისა და მისი სტრუქტურული ერთეულების მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერის ერთ-ერთი მოადგილე - ადმინისტრაციის უფროსი.

4. ადმინისტრაციის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ადმინისტრაციის დებულებით, რომელსაც მერის ერთ-ერთი მოადგილის - ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს ქალაქ თბილისის მერი.

5. ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით, რომლებსაც ამტკიცებს ქალაქ თბილისის მერი.

6. ადმინისტრაციის სტრუქტურასა და საშტატო ნუსხას მერის ერთ-ერთი მოადგილის - ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს ქალაქ თბილისის მერი.

7. მერის ერთ-ერთი მოადგილე - ადმინისტრაციის უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს - განკარგულებას.

თავი IV. საქალაქო და ადგილობრივი სამსახურები

მუხლი 16. საქალაქო სამსახური

1. საქალაქო სამსახური არის ქალაქ თბილისის მთავრობის კომპეტენციას მიკუთვნებულ ცალკეულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, შესაბამისი დარგის მართვისათვის შექმნილი ორგანო რომელიც ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულია.

2. საქალაქო სამსახურის კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება, ქალაქის მერის მიერ დამტკიცებული სამსახურის დებულებით, რომელსაც წარადგენს შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელი.

3. საქალაქო სამსახურები მათი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების შესაბამისად ერთიანდებიან ეკონომიკურ, სოციალურ, კომუნალურ, საქალაქო მეურნეობისა და კონტროლისა და ზედამხედველობის ბლოკებად. თითოეული ბლოკის საქმიანობას ხელმძღვანელობს მერის ერთ-ერთი მოადგილე მერის მიერ მათ შორის ფუნქციების განაწილების შესაბამისად. საქალაქო სამსახურების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს მერი.

4. ეკონომიკურ ბლოკში შემავალი საქალაქო სამსახურების ძირითადი კომპეტენციებია:

ა) ბიუჯეტის პროექტისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადება; ბიუჯეტის შესრულების ორგანიზაცია;

ბ) ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა (ადგილობრივი საგადასახადო პოლიტიკა, მეწარმეობის საქალაქო რეგულირება, საქალაქო კომერციული პროგრამები, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი და სხვ.) და მისი განხორციელების უზრუნველყოფა;

გ) საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება;

დ) ადგილობრივი საკუთრების მართვის კოორდინაცია;

ე) საქალაქო ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნობრივ პროგრამათა შემუშავება და მათი განხორციელება;

ვ) ქ.თბილისის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მართვის უზრუნველყოფა, და მთავრობის როგორც პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელება, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

5. სოციალურ ბლოკში შემავალ საქალაქო სამსახურთა ძირითადი კომპეტენციებია:

ა) სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების (განათლება, ჯანდაცვა, კულტურა, სპორტი და სხვ.) რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების მომზადება, მათი განხორციელების ორგანიზება;

ბ) დასაქმების საქალაქო პროგრამათა შემუშავება;

გ) სოციალური მონიტორინგის განხორციელება;

დ) სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სპეციალურ პროგრამათა შემუშავება და მათი განხორციელების უზრუნველყოფა.

6. კომუნალურ და საქალაქო მეურნეობის ბლოკში შემავალი საქალაქო სამსახურების ძირითადი კომპეტენციები:

ა) ადგილობრივ საზოგადოებრივ (მათ შორის კომუნალური) მომსახურებათა ორგანიზება;

ბ) საქალაქო კომუნალური და საქალაქო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამათა შემუშავება და მათი განხორციელების უზრუნველყოფა.

7. კონტროლისა და ზედამხედველობის ბლოკში შემავალი საქალაქო სამსახურების ძირითადი კომპეტენციებია:

ა) თბილისის ტერიტორიაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის საზედამხედველო ობიექტების საქმიანობაზე კონტროლი, კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) მერიის სისტემის ორგანოებისა და მოსამსახურეთა საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობა და კონტროლი.

მუხლი 17. საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი

საქალაქო სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი. სამსახურის უფროსსა და მის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მერი.

მუხლი 18. საქალაქო სამსახურის მოსამსახურე

1. საქალაქო სამსახურის მოსამსახურეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მერი.

2. საქალაქო სამსახურების საშტატო ნუსხას ამტკიცებს მერი.

მუხლი 19. საქართველოს სამთავრობო დაწესებულებათა ტერიტორიული (საქალაქო) ორგანოები

საქართველოს სამთავრობო დაწესებულებათა ტერიტორიული (საქალაქო) ორგანოს ხელმძღვანელს და მის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელი ქალაქ თბილისის მერთან წერილობითი შეთანხმებით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

კარი III. ქალაქ თბილისის მთავრობის მუშაობის დაგეგმარება და საერთო ორგანიზაცია

მუხლი 20. ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტი

მერის, მთავრობის, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის საგანმკარგულებლო დოკუმენტების მომზადებისა და გაფორმების, ქალაქ თბილისის მთავრობის სხდომების, მერის თათბირის მომზადებისა და ჩატარების წესი განისაზღვრება ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტით, რომელსაც ამტკიცებს ქალაქ თბილისის მერი.

მუხლი 21. თბილისის (საქალაქო, რაიონული) სოციალ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტი (29.12.2006 N 4-22)

თბილისის (საქალაქო, რაიონული) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტი უნდა მოიცავდეს:

ა) თბილისის (საქალაქო, რაიონული) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებული დონის ანალიზს;

ბ) თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს;

გ) პროგრამებს თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებიდან გამომდინარე.

მუხლი 22. თბილისის ბიუჯეტის (საქალაქო, რაიონული) პროექტი (29.12.2006 N 4-22)

თბილისის (საქალაქო, რაიონული) ბიუჯეტის პროექტი დგება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის საფუძველზე. ბიუჯეტის პროექტის შედგენა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.”;

მუხლი 23. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტების მომზადების ორგანიზაცია (29.12.2006 N 4-22)

1. ქალაქ თბილისის (საქალაქო, რაიონული) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის (საქალაქო, რაიონული) ბიუჯეტის პროექტების მომზადების წესი, პროცედურა და ვადები საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად განისაზღვრება ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტით.

2. ქალაქ თბილისის (საქალაქო, რაიონული) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის (საქალაქო, რაიონული) ბიუჯეტის პროექტების მომზადებისათვის პასუხისმგებელი პირები საქართველოს კანონმდებლობის, ამ დებულებისა და ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტის შესაბამისად განისაზღვრება მერის განკარგულებით.

3. ქალაქ თბილისის (საქალაქო, რაიონული) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის (საქალაქო, რაიონული) ბიუჯეტის პროექტების საბოლოო რედაქციას ხელს აწერს ქალაქ თბილისის მერი.

4. ქალაქ თბილისის (საქალაქო, რაიონული) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის (საქალაქო, რაიონული) ბიუჯეტის პროექტებს საბიუჯეტო წლის დაწყებამდე თვენახევრით ადრე მაინც საკრებულოს წარუდგენს მერი.

მუხლი 24. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენა (29.12.2006 N 4-22)

1. ქალაქ თბილისის (საქალაქო, რაიონული) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის (საქალაქო, რაიონული) ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენის წესი, პროცედურა და ვადები საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად განისაზღვრება ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტით.

2. ქალაქ თბილისის (საქალაქო, რაიონული) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის (საქალაქო, რაიონული) ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენისათვის პასუხისმგებელი პირები საქართველოს

კანონმდებლობის, ამ დებულებისა და ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტის შესაბამისად განისაზღვრებიან მერის განკარგულებით.

3. ქალაქ თბილისის (საქალაქო, რაიონული) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ქალაქ თბილისის (საქალაქო, რაიონული) ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს მერი საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან სამ თვეში.

კარი IV. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელი ტერიტორიული ორგანო

თავი I. ქალაქ თბილისის რაიონის გამგეობა (29.12.2006 N 4-22)

მუხლი 25. ქალაქ თბილისის რაიონის გამგეობა (29.12.2006 N 4-22)

ქალაქ თბილისის რაიონის გამგეობა (შემდგომში - გამგეობა) არის ქალაქ თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანო, რომელიც “საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ” საქართველოს კანონისა და ამ დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხის გადაწყვეტას და ადმინისტრაციული ერთეულის - რაიონის მართვას;

მუხლი 26. გამგეობის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

გამგეობა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და შესაბამისად.

მუხლი 27. გამგეობის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

გამგეობა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონიერების, საჯაროობის, კოლეგიალობის, ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების, ადამიანთა უფლება-თავისუფლებათა დაცვის, საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპებით.

მუხლი 28. გამგეობის ძირითადი მიზნები და ამოცანები (29.12.2006 N 4-22)

გამგეობა ამ დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს საქართველოს კანონების, ქალაქ თბილისის მერის, საკრებულოს, თბილისის მთავრობისა და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტების შესრულებას;

ბ) შეიმუშავებს რაიონის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს ქალაქ თბილისის მთავრობას განსახილველად; უზრუნველყოფს თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას;

გ) უზრუნველყოფს ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა ორგანიზებას;

დ) ხელმძღვანელობს დაქვემდებარებული სამსახურების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას;

ე) შეიმუშავებს რაიონის კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტს და წარუდგენს ქალაქ თბილისის მთავრობას განსახილველად; უზრუნველყოფს დამტკიცებული პროგრამის შესრულებას;

ვ) სახელმწიფო და ქალაქ თბილისის განვითარების პროგრამებიდან გამომდინარე ახორციელებს ეკონომიკურ რეფორმებს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა და ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით”;

თავი II. გამგეობის შექმნის წესი და მისი შემადგენლობა

მუხლი 29. გამგეობის შემადგენლობა (29.12.2006 N 4-22)

1. გამგეობა შედგება: რაიონის გამგებლის, მისი მოადგილეებისა და რაიონული სამსახურის (განყოფილების) ხელმძღვანელისაგან.

2. რაიონის გამგებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მერი.

3. გამგეობის სტრუქტურას, დებულებასა და საშტატო ნუსხას ამ დებულების საფუძველზე შეიმუშავებს გამგებელი და ამტკიცებს ქალაქ თბილისის მერი.”;

მუხლი 30. რაიონის გამგებლის კომპეტენცია (29.12.2006 N 4-22)

რაიონის გამგებელი:

ა) თანამდებობრივად შედის ქალაქ თბილისის მთავრობაში;

ბ) წარმართავს გამგეობის საქმიანობას;

გ) დებულების შესაბამისად შეიმუშავებს და ქალაქ თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის შემადგენლობას;

დ) მერს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის წევრებს;

ე) გამგებლის შესაბამისი დარგის მოადგილის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა უფროსებსა და სხვა თანამშრომლებს;

ვ) ორგანიზაციას უწევს რაიონის ბიუჯეტის პროექტისა და რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შედგენას, საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს რაიონის ბიუჯეტის პროექტსა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამას; უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტისა და რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შესრულებას;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს გამგეობის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს; წარმოადგენს და მოქმედებს გამგეობის სახელით, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;

თ) ხელს აწერს გამგეობის ფინანსურ დოკუმენტებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს, ხელს აწერს გამგეობის დადგენილებებს;

ო) აჩერებს ან აუქმებს გამგეობის სამსახურის ხელმძღვანელთა და რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ორგანოების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებებს;

კ) ხელმძღვანელობს სამხედრო განყოფილების მიერ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, მათ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას და თავმჯდომარეობს გამწვევ კომისიას;

ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

მ) ანგარიშვალდებულია ქალაქ თბილისის მერის, საკრებულოსა და რაიონის მოსახლეობის წინაშე.

მუხლი 31. გამგებლის გადადგომა

1. გამგებელს აქვს თანამდებობიდან გადადგომის უფლება. იგი თავის უფლებამოსილებას იხსნის და პასუხისმგებელია ქალაქ თბილისის მერის წინაშე.

2. გამგებელი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ქალაქ თბილისის მერის მიერ ახალი გამგებლის დანიშვნამდე.

თავი III. გამგეობის კომპეტენცია

მუხლი 32. რაიონის გამგებლის მოადგილეები (29.12.2006 N 4-22)

1. გამგებელს შეიძლება ჰყავდეს არა უმეტეს სამი მოადგილისა.

2. გამგებელი თავის მოადგილეს ნიშნავს მერთან შეთანხმებით.

3. გამგებლის მოადგილეები გამგებლის მიერ ფუნქციონირებენ განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობენ გამგეობის კომპეტენციას მიკუთვნებულ დარგებს; ამზადებენ და გამგებელს წარუდგენენ წინადადებებს შესაბამის დარგებში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ; ხელმძღვანელობენ გამგეობის შესაბამის სამსახურებს; ორგანიზაციას უწევენ და აკონტროლებენ გამგებლისა და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

4. გამგებლის არყოფნის შემთხვევაში ან თუ გამგებელს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობების შესრულება, გამგებლის მოვალეობას მისი დავალებით ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე.

5. მოადგილეები ანგარიშვალდებული არიან გამგებლის წინაშე.

მუხლი 33. უფლებამოსილებათა გამიჯვნა ქალაქ თბილისის მთავრობასა და რაიონის გამგეობებს შორის (29.12.2006 N 4-22)

უფლებამოსილებათა გამიჯვნა ქალაქ თბილისის მთავრობასა და რაიონის გამგეობებს შორის ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, მათგან გამომდინარე ქალაქ თბილისის მერის, საკრებულოს და მთავრობის აქტებით ქალაქ თბილისის კომპეტენციების რაიონებისათვის დელეგირების საფუძველზე.

მუხლი 34. გამგეობის უფლებამოსილებათა განხორციელების

მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა (29.12.2006 N 4-22)

“საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ” საქართველოს კანონით, ამ დებულებით, ქალაქ თბილისის მერის, საკრებულოსა და მთავრობის აქტებით განსაზღვრულ რაიონის გამგეობის უფლებამოსილებათა განხორციელება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ქალაქ თბილისის საკუთრების შესაბამისი ობიექტების, სათანადო მატერიალურ-ფინანსური რესურსების რაიონის გამგებლობაში გადაცემითა და რაიონის ბიუჯეტის დამოუკიდებელი შემოსავლებით.

მუხლი 35. გამგეობის უფლებამოსილებანი (29.12.2006 N 4-22)

გამგეობის კომპეტენციაშია მიეკუთვნება:

ა) მის გამგებლობაში გადაცემული ქალაქ თბილისის საკუთრების ობიექტების საქართველოს კანონით და მის საფუძველზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით ფლობა და სარგებლობა; ქალაქ თბილისის მთავრობისათვის დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება ქალაქ თბილისის საკუთრების ობიექტების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხებთან დაკავშირებით;

ბ) ადგილობრივი ფინანსები, რაიონის ბიუჯეტის ფორმირება და შესრულება; თბილისის მთავრობისათვის წინადადებების წარდგენა ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებისა და გაუქმების, მათი ადგილობრივ ბიუჯეტში ჩასარიცხი წილის დადგენის შესახებ; სხვა ადგილობრივი საფინანსო საკითხების გადაწყვეტა;

გ) დაქვემდებარებული ტერიტორიის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტების შემუშავება;

დ) ადგილობრივი საინფორმაციო სამსახურის ორგანიზება და მისი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;

ე) დაქვემდებარებული ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება;

ვ) ქალაქ თბილისის განაშენიანების გენერალური გეგმიდან გამომდინარე ქალაქ თბილისის მთავრობასთან შეთანხმებით დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მშენებლობის დაგეგმვა და განხორციელება;

ზ) საცხოვრებელი, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მშენებლობისათვის ხელშეწყობა და შესაბამისი პირობების შექმნა;

თ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შეკეთება, რეკონსტრუქცია და მშენებლობა;

ი) სოციალური მომსახურების ორგანიზება;

კ) ადგილობრივი მნიშვნელობის იმ სხვა საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციით, კანონებით, ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მერიის აქტებით არ შედიან მმართველობის სხვა ორგანოების გამგებლობაში.

მუხლი 35¹. ძველი თბილისის რაიონის გამგეობის უფლებამოსილებანი (20.11.2006 N2-13)

ამ დებულებით დადგენილი უფლებამოსილების გარდა, ძველი თბილისის რაიონის გამგეობის კომპეტენციაში შედის:

ა) დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მიმდინარე პროცესების კოორდინაცია და ხელშეწყობა ძველი თბილისის

ისტორიულ-კულტურული, საკურორტო-რეკრეაციული და ტურისტულ-ეკონომიკური პოტენციალის განვითარების მიმართულებით;

ბ) ინფორმაციის მიღება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოების, ისე იურიდიული პირებისაგან, ძველი თბილისის რაიონის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე პროცესებსა და წარმოებული სამუშაოების თაობაზე;

გ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ძველ თბილისში მიმდინარე პროცესებისა და ძეგლების მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგის წარმოება, მონიტორინგის ადეკვატური და ქმედითი სისტემის მეშვეობით;

დ) საქმიანობის წარმართვა მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირში, მათი ინიციატივების წახალისებითა და მოსახლეობის ძველი თბილისის რაიონის განვითარების პროცესებში ჩართვის გზით;

ე) დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ფინანსური სტრატეგიის შემუშავება და ქმედითი ღონისძიებების განხორციელებით ფონდების მოძიება-კოორდინაციაზე ზრუნვა;

ვ) ძველი თბილისის ღირშესანიშნაობების პოპულარიზაცია და ტურისტების მოზიდვის მიზნით სარეკლამო წინადადებების მომზადება და მათი განხორციელება;

ზ) ამ დებულებით, რაიონის გამგეობის დებულებით და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები.

მუხლი 36. გამგეობის კომპეტენცია ეკონომიკურ სფეროში

ეკონომიკის სფეროში გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, მისი შესრულების უზრუნველყოფა, საგადასახადო სამსახურებთან ერთად ადგილობრივი და საერთო-სახელმწიფო გადასახადების ამოღების კოორდინაცია;

ბ) დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ეკონომიკური რეფორმების განხორციელების კოორდინაცია, ამ სფეროში საქართველოს პარლამენტის, ქალაქ თბილისის საკრებულოს, მერის, და ქალაქ თბილისის მთავრობის აქტების აღსრულების კონტროლი; ქალაქ თბილისის მთავრობისათვის შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

გ) მის გამგებლობაში არსებული ადგილობრივი საკუთრების ობიექტების რეგისტრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და შეფასება, ზედამხედველობა, მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის წინადადებების მომზადება ქალაქ თბილისის მთავრობისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი ქონების შექმნის, შეძენის და მისი გასხვისების შესახებ;

დ) ადგილობრივი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელების ორგანიზება, საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა, ქალაქ თბილისის მთავრობისათვის შესაბამისი წინადადებების მომზადება;

ე) ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პოლიტიკის განსაზღვრა, ქალაქ თბილისის მთავრობისათვის შესაბამისი დასკვნებისა და წინადადებების მომზადება;

ვ) ადგილობრივი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კომერციული პროგრამების მომზადების კოორდინაცია, მათი განხორციელებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; ამ მიზნით დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არსებულ საწარმოებთან და მეწარმეებთან თანამშრომლობის ორგანიზება.

მუხლი 37. გამგეობის კომპეტენცია სოციალურ სფეროში

სოციალურ სფეროში გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მონიტორინგი, ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;

ბ) ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შემუშავება და მათი რეალიზაცია;

გ) ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ დადგენილი წესით სახელმწიფო და ქალაქ თბილისის შესაბამის სამსახურებთან, საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან ერთად ჰუმანიტარული დახმარების ეფექტიან პროგრამათა შემუშავება, მათი განხორციელების ორგანიზება;

დ) ადგილობრივი სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და შემდგომი განვითარების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ორგანიზება;

ე) ადგილობრივი შრომის ბაზრის ანალიზი, მოსახლეობისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, ადგილობრივი დასაქმების პროგრამათა შემუშავება და მათი განხორციელების ორგანიზება;

ვ) სოციალურ სფეროში სხვადასხვა სოციალური ფენის ინტერესთა ანალიზი, საზოგადოებრივ ინიციატივათა შესწავლა და მათი ხელშეწყობა, სხვადასხვა სოციალური ფონდის ჩამოყალიბებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

ზ) ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელება.

მუხლი 38. გამგეობის კომპეტენცია სამეურნეო სფეროში

სამეურნეო სფეროში გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა ორგანიზება;

ბ) ადგილობრივი მეურნეობის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროგრამების მომზადება და მათი განხორციელების ორგანიზება.

მუხლი 39. გამგეობის აპარატი

1. გამგეობის აპარატი ახორციელებს გამგეობისა და გამგეობის სამსახურების საინფორმაციო, ტექნიკურ, იურიდიულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

2. გამგეობის აპარატის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

3. გამგეობის აპარატის სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზაცია განისაზღვრება გამგეობის აპარატის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს გამგებელი.

თავი IV. გამგეობის სამსახურები (განყოფილებები)

მუხლი 40. გამგეობის სამსახური (განყოფილება) (29.12.2006 N 4-22)

1. გამგეობის სამსახური (განყოფილება) არის გამგეობის კომპეტენციას მიკუთვნებული ცალკეულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით შექმნილი დარგობრივი მმართველობის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ფინანსდება რაიონის ბიუჯეტიდან.

2. გამგეობის სამსახურებს (განყოფილებებს) გამგებლის წარდგინებით ქმნის და აუქმებს ქალაქ თბილისის მერი.

3. გამგეობის სამსახურის (განყოფილების) საქმიანობას წარმართავს სამსახურის (განყოფილების) ხელმძღვანელი, რომელსაც ქალაქ თბილისის მერთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რაიონის გამგებელი.

4. გამგეობის სამსახურის (განყოფილების) ხელმძღვანელის მოადგილეებსა და სამსახურის (განყოფილების) თანამშრომლებს სამსახურის (განყოფილების) ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი. გამგეობის სამსახურის (განყოფილების) მოსამსახურეთა დანიშვნისა და გათავისუფლების წესი, მისი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონით და სამსახურის (განყოფილების) დებულებით.

მუხლი 41. გამგეობის სამსახურის კომპეტენცია და საქმიანობის წესი

გამგეობის სამსახურის კომპეტენცია, საქმიანობის წესი და მისი მიმართება საქალაქო სამსახურებთან განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს გამგებელი.

მუხლი 42. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტების, პროგრამისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენა (29.12.2006 N 4-22)

1. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტების მომზადების წესი და ვადები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტით, მერის განკარგულებითა და გამგეობის რეგლამენტით.

2. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს რაიონის გამგებელი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარუდგენს ქალაქ თბილისის მთავრობას განსახილველად.

მუხლი 43. გამგეობის რეგლამენტი

გამგებლის და გამგეობის საგანმკარგულებლო დოკუმენტების მომზადებისა და გაფორმების, გამგეობის სხდომების, გამგებლის თათბირის მომზადებისა და ჩატარების წესი განისაზღვრება გამგეობის რეგლამენტით, რომელსაც ამტკიცებს გამგებელი.

კარი V. ქალაქ თბილისის მერიის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტები

მუხლი 44. ქალაქ თბილისის მერიის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ნორმატიული და ინდივიდუალური აქტები

1. ქალაქ თბილისის მერიის ორგანოები და თანამდებობის პირები კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ სამართლებრივ აქტებს.

2. ქალაქ თბილისის მერიის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ნორმატიული აქტების: მერის ბრძანების, ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილების, გამგებლის ბრძანების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონით, ამ დებულებითა და მის საფუძველზე მიღებული ქალაქ თბილისის მთავრობისა და გამგეობის რეგლამენტით.

3. ქალაქ თბილისის მერიის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების: მერის, გამგებლის და მერის ერთ-ერთი მოადგილის - ადმინისტრაციის უფროსის განკარგულების და საქალაქო (ადგილობრივი, გამგეობის) სამსახურის ხელმძღვანელის ბრძანების, ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება ამ დებულებითა და მის საფუძველზე მიღებულ ქალაქ თბილისის მთავრობისა და გამგეობის რეგლამენტით.

4. მერის, ქალაქ თბილისის მთავრობის, გამგებლის ნორმატიული აქტი ძალაში შედის დადგენილი წესით მისი გამოქვეყნების შემდეგ.

მუხლი 45. ქალაქ თბილისის მერიის ორგანოებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებათა შეჩერება და გაუქმება (22.01.2007 N1-1)

1. ქალაქ თბილისის მერიის ორგანოებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებები შეიძლება შეიცვალოს ამ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ.

2. ქალაქ თბილისის მერიის ორგანოებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებები შეიძლება შეჩერდეს და/ან გაუქმდეს კანონით დადგენილი წესით.